სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 21 მ ა ი ს ი 12 1896 წ. № 21

შინაარსი: განთიადი აკაკისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—⁂ ლექსი რუს-იმერლისა.—ქალების ინტერნაციონალური კონგრესი პარიჟში ი. კაკაბაძისა.—რკინის გზის საქმის წარმატება.—ხმა პროვინციიდან ხალხის მეგობრისა.—ცხოვრების სურათები ლექსი სილოვანისა.—ნუშო (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—ბ. ურბნელის შენიშვნების გამო გ. ლ-სა.—ცირაჟი.

,,კვალის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

განთიადი

ახირებული დრო იყო ,,მესამოცე—წლები" რუსეთში!.. მწერლობა ორ ბანაკათ გაიყო; ერთი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის უნდა იყოს და არა ცხოვრებისათვისო. მეორე კი იმ აზრზე იდგა, რომ ხელოვნება ცხოვრებისათვისო. აიშალენ. ბრძოლა ისე გამწვავდა რომ ორივე მხარე უკიდურესობაში ჩავარდა და გზა და კვალი აერიათ: წმინდა ხელოვნების მიმდევრებმა ჰაერში მოინდომეს ფრენა და ძირს, დედა-მიწაზე, ფეხს აღარ აკარებდენ, ყოველ-დღიურ ავ-კარგიანობას ზურგი შეაქციეს და მხოლოდ ,,ტკბილ-ხმოვანობა" და ,,საამო ფერადობა" მოიქარგეს დროშაზე!.. მშიერს რომ მათთვის ხელი გაეწვოდა და მოწყალება ეთხოვა, ისინი პურის ნაცვლად ჭიანურსა და ოქრო-ქსოვილებს მიაშველებდენ, სრულიად დარწმუნებული, რომ მხოლოთ ის თუა მათი წამალი და სხვა არა ეჭირვებოდათ რა!..

მეორე მხარემაც ისეთი ვიწრო ფარგლით შემოზღუდა ცხოვრება (თითქოს ადამიანი პირუტყვზე მაღლა აღარ მდგარიყოს) რომ ყოველივე, რაც კი სულით აამაღლებს ადამიანს და დაუახლოვებს ციურს, უარჰყო!.. თამამათ და გულ წრფელათ ამტკიცებდა, რომ მოცარტისა და ბეტხოვენის მუზიკაზე გოჭის ჭყივილი უფრო სასიამოვნო გასაგონია, რომ ორთოეზის სიმღერას ძაღლის ყეფა ჯობია და მჭევრ-მეტყველებაზე ბლოყინ-სიტყვაობა უფრო სასიამოვნოაო, როგორც ცხოვრებაში უფრო გამოსადეგიო. ის ვინც ორივე მხარეს განზე გაუდგებოდა და მათ უკიდურესობას უარსა-ჰყოფდა; არც იქით იქნებოდა არც აქეთ და შუათანობას აირჩევდა; უეჭველია ორივე გუნდისაგან შეურაცხყოფილი შეიქნებოდა ისე, როგორც გამოჩენილი მწერალი ტურგენიევი და ან პოეტი ალექსი ტოლსტოი.—ამ უცნაურმა და უკულმართმა მოვლინებამ იმ დროში შეაფერხა რუსეთში ყოველ-გვარი ხელოვნება. ეს საშიში სენი ჩვენც გადმოგვედვა მაშინ ქართველებს და უფრო მეტი ვნებაც მოგვიტანა ვიდრე რუსეთს.—ეს ნიგილიზმათ წოდებული სენი რუსეთში კანონიერი მოვლინება

იყო, როგორც მაშინდელ დროთა ვითარების ძალით, რუსეთისვე ცხოვრებიდან გამოწვეული, მაგრამ ჩვენში კი წამხედურობით იყო გადმოტანილი და ნაძალადევი და ამიტომაც უფრო მეტი ვნება მოგვიტანა. ზოგი-ერთ სახადს, მაგალითათ, ყვავილს, განგებ აუცრიან ხოლმე კაცს, რომ ნამდვილს ძალა დააკარგვიონ. ის ზემოხსენებული სენი ანუ სახადი სწორეთ აცრა იყო ძროხის ყვავილივით რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი ნამდვილ ჭირ-ბოროტათ შემოვიდა, დაგვასახიჩრა და დაგვაწყლულა.

რუსეთში ისე მალე გადაჰკვეთა, რომ ათ წელსაც არ გაუვლია, მაგრამ ჩვენ კი ჯერ თითქმის ნახევარი საუკუნე გადის და ვერ მოგვიხდია. ყოველგვარი ხელოვნება დღემდისაც შეფერხებულია ჩვენში და ხალხმაც სწორ-მხედველობის სასწორ-საზომი დაჰკარგა. ჩანგურ-სალამურის ადგილი —,,ბუზიკამ'' დაიჭირა, მშობლიური ხმები, საიდანაც ჩვენი წარსულის კვნესა-სიცილი გამოისმოდა, საუკუნოებით იყო გადმოცემული,—როტიდან გამოსულმა სიმღერებმა გააძევა. სამინუშოთ ავიღოთ ის მრავალ ჟამიერი, რომელსაც დღეს დიდი და პატარა ყველა იმღერის, თითქმის ძაღლებიც კი მის კილოზე ზუვიან და ისე შეეხორცა მთელ ქვეყანას, რომ თითქო მისი საკუთარი ცხოვრების ნაყოფი ყოფილიყოს.

მხატვრობაზე სულ არაფერი გვეთქმის და რაც შეეხება მწერლობას, ის ხომ სათვალ და-თვალო გადაუკულმართებული და დამახინჯებულია. დამპალ ჯირკებივით და ხმელ ფიჩხივით აქა-იქ მოკრეფილი სხვისი ნაწყვეტი აზრები და ლაზლის ძაფით შეკონვილი, საკუთარი სიბრძნე-მეცნიერება გვგონია. სიტყვების უსიამოვნო ბრახა-ბრუხი — მუზიკა—გარმონია, და გაბერილი აზრების ფართი-ფურთი — პოეზია. შეცდომით ვეძახით მესამოცე წლებს ჩვენში წარმატების და აყვავების ხანას ხელოვნების მხრით; ეს თითქმის ნახევარი საუკუნე შავ ლაქათ დარჩება ჩვენს სალიტერატურო ისტორიაში. შეიძლება მითხრან, თუ ყველა არა, ორიოდე შესანიშნავი მნათობი მზე ჩვენცა გვყავდაო, მაგრამ ეს თავის მოტყუებაა: მე მგონია, რომ ფუტურო მოვიღეთ ნამდვილ მნათობათ, თორემ სადაც ძლიერი მზე არის, იქ სხვა მნათობებიც იჩენენ თავს და მთვარეც ანათებს მზისვე წყალობით სხივებ შესხმული. თუ მართლა ისე ძლიერი წარმომადგენელნი გვყავდენ მაშინ ლიტერატურისა, რატომ მათივე მოფენილი სხივების წყალობით გარს ვერ შემოიხვიეს მთელი დასი? ალბათ ჰკლებიათ ძალა და მხურვალება. არა! ვიტყვით გულ-წრფელათ, ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოთ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიხოლოგიური ეტიუდებით, რომელთ რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო დედაბრიშვილს. ვიცი, ბევრი იტყვის, მაგრე პატარა რამეებზე ღირს ლაპარაკიო, მაგრამ ხელოვნებამ, ზომისა და წონის მხრით, დიდი და პატარა არ იცის. გამოჩენილმა ისპანიის მხატვარმა მურილიომ პატარა ტილი დახატა, ეს არის მისი ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი. როდესაც გამოფინეს ეს ნახატი მსოფლიო სამინუშოთ და ქვეყანა აღტაცებაში მოდიოდა, ერთმა უნიჭო მხატვარმა სპილო დახატა და ჩამოუკიდა გვერდით და რომ არავინ მიაქცია ყურადღება, ჰკვირობდა: ჩემი ნახატი უფრო დიდი არ არისო! ჯერ-ჯერობით ბოდიში უნდა მოვიხადო და ვთქვა, უმეტესობას ჩვენშიაც ასე ესმის ხელოვნება.

ეს დღევანდელი პატარ-პატარა ფსიხოლოგიური ნაწყვეტები მამლის ყივილივით განთიადის წინამორბედი არიან ჩვენ ცხოვრება—ლიტერატურაში.

ერთი ამგვარი რამ ამ დღეებშიაც დაიბეჭდა საყმაწვილო ჟურნალ ,,ჯეჯილში''. ვოლტერმა თქვა, ყმაწვილებისთვის ის არის კარგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენსო. ეს პატარა ბოტანიკური მოთხრობა ,,ფითრი'' თ. რაზიკაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრივ ისე თავის კილოთიც გამტაცია ახალგაზდა გრძნობა გონების და იმავე დროს დიდათ საგულისხმიერო დიდებისთვისაც. აქ არ გვინდა ამოვწეროთ შინაარსი, რომ არ დავამახინჯოთ, ვურჩევთ ყველას, თავის თავათ წაიკითხონ. აქ არის გამოხატული ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანვე მის გულში შემოხიზნული ერი. ეს არის ისტორია ჩვენის ცხოვრების და იმავე დროს ებრაული წინასწარმეტყველობა მომავალზე. და ვინც გულდადებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთათ იტყვის, მადლობა ღმერთს, ახალი ხანა დგება ჩვენ მწერლობაში და მისი განთიადიც მოახლოვებულიაო.

აკაკი.

სხვა-და-სხვა ამბები.

კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწემ, გრაფმა ტატიშჩევმა დაამტკიცა შემდეგი პროგრამა იმ დღესასწაულობათა, რომლებიც წმ. დავითგვირგვინების დროს იქნება გამართული თფილისში. წინა დღით, 13 მაისს, საღამოთი ქალაქის ყველა ეკლესიებში დაუჯდომელი იქნება გარდახდილი: სიონში ეპისკოპოსი ალექსანდრე გარდიხდის დაუჯდომელს. 14 მაისს ყველა ეკკლესიებში ლიტურგია იქმნება შესრულებული და როგორც-კი დეპეშას მიი-

ლებს გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომ დაგვირგვინება უკვე შესრულებულ იქნაო, სამჯერ დაცლიან ზარბაზანს და ქალაქის მცხოვრებნი სახლებს ბაირაღებით შეამკობენ. ამის შემდეგ სიონის ტაძარში პარაკლისი იქნება გარდახდილი.

საღამოთი ამ დღეს მთაწმიდა, სოლოლაკისა და არსენლის მთები გაჩირაღდნებული იქნება. ქალაქის გამგეობა გააჩირაღდნებს გოლოვინის პროსპექტს, ქალაქის სახლს, ალექსანდრეს ბაღს, რომელიც მთელ ღამეს ღია იქმნება და აგრეთვე ხიდისქუჩას. ვერისა, მიხეილისა და ავლაბრის ხიდებზე და აგრეთვე კახეთის მოედანზე მწვანით შეკრული კამარები იქნება დადგმული.

მეორე დღეს, 15 მაისს, იუნკრების მოედანზე დილის 10 საათზე, პარაკლისი იქნება გარდახდილი მათის იმპერატორებითი უდიდებულესობის სადღეგრძელოთ, როგორც მათის უდიდებულესობისა, ისე მთლათ სამეფო სახლეულობისათვის. პარაკლისის შემდეგ აქვე ნახავენ მთლათ ტფილისის ჯარების გარნიზონს.

12 საათზე შუადღისას, 3,000 კაცისთვის სადილი იქნება გამართული.

საღამოთი ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება და ალექსანდრეს ბაღში მუსიკა დაუკრავს.

16 მაისს, დილის 10 საათზე, იუნკრების მოედანზე ქალაქის ყველა სასწავლებლებიდან მოწაფეები თავს მოიყრიან და აქ ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ პარაკლისი იქნება გარდახდილი. პარაკლისის დროს ყველა მაღაზიები და დუქნები დაკეტილი იქნება. ამ სამის დღის განმავლობაში ეკკლესიებში ზარების რეკა არ შეწყდება. (ივერია.)

***

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ წლიური კრება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" არის დღეს დანიშნული 12 მაის საღამოს რვა საათზე ბანკის სადგომში. ჩვენ უხერხულათ მიგვაჩნია კვირას საღამოს კრების დანიშვნა, მაგრამ რადგან ბანკის კრებები უბოლოვო გახდა სხვა დრო, უსათუოთ, ძნელი ამოსარჩევი იყო.

***

ავდრები გამუდმებულია ჩვენში; წყალმა გრაკლის ხიდი დააზიანა, სამხედრო გზაზე ზვავი ჩამოწვა; გზები ყველგან ისევ შეიკრა და სადაც კი გაიხსნება კაცი მოელის ეს ეს არის ისევ შეიკვრისო.

***

ხუთშაფათს 9 მაის იყო აქტი ქალების დედათა ინსტიტუტში. 42 წელიწადია რაც ყოველ წლივ ათავებენ ქალები სწავლას. ამ მდგომარე წელს მოსწავლე ქალი არის 242. ამათში ქართველია: 67. მთიული: 4. წრეულს გაათავეს 33 ქალმა; პირველი ოქროს მედალი მიიღო თამარა ლოლობერიძისამ.

***

ლატარია ალეგრი ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოთ, რომელიც იყო დანიშნული 5 მაისისათვის, გადაიდო ავდრების გამო 19 მაისისთვის.

***

მოსკოვის კონსერვატორიაში, როგორც გვაუწყებს ,,Нов. Обоз." გაუთავებია სწავლა და ვერცხლის მედალი მიულია კნ. ბარბარე ამირეჯიბისას.

***

ყარსში გაუმართავთ 21 აპრილს ქართულ-რუსული წარმოდგენა, წყალ-დიდობის და სასტიკ ზამთრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. რუსულათ უთამაშნიათ ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „Супружеская Идиллія". ქართულათ, ცაგარლის ,,ხანუმადან" ორი უკანასკნელი მოქმედება. რუსული პიესა უფერული შინაარსიანი ყოფილა და მიუხედავათ იმისა რომ მოთამაშეთ კარგათ უთამაშნიათ, საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია. სამაგიეროთ შვენივრათ უთამაშნიათ „ხანუმა" და ხალხიც ალტაცებაში მოსულა. წმინდა შემოსავალი დაახლოვებით 230 მანეთამდეა.

***

ს. გულეკარიდან (სენაკის მაზ.) გვწერენ: ავგროც დღეზე მეტი იქნება, რომ რაღაც გაუგებარმა სენმა იმსხვერპლა 19 კაცი. აქ ექიმი არ მოიპოვება, რომ გამოეკვლია ეს სენი გადამდებია თუ არა. თუ გადამდები არის იმ შემთხვევაში რამე ზომებს მაინც მიიღებდენ! ამ სოფელში კაცის ყური შეჩვევია სიტყვებს: „მოკვდა საწყალი და ქმარიც კვდება" მეტი არაფერი. საჭიროა, რომ ყურადღება მიაქციონ ამ ბედკრულ სოფელს.

***

დ. ყვირილიდან გვატყობინებენ: ძლივს ეღირსეთ მენავეებიდან და მებორნეებიდან თავის დახწევას. ამ დღეებში დეკანოზ დ. ღამბაშიძის თაოსნობით შვენიერი, საცალფეხო ხიდი გაკეთდა მდ. ყვირილაზე. ამ ხიდს გაღმა-გამოღმით აურაცხელი ხალხი მოაწყდა. ამ საქმეში სწორეთ დიდი მადლობის ღირსია დეკ. ღამბაშიძე.

საყურადღებო ამბები.

სოფ. წესს (რაჭის მაზ.) მეწყერმა თუმცა დიდი ზარალი მისცა, მაგრამ, ღმერთზე მხოლოთ მადლობის მეტი არა გვეთქმის-რა. ახლა კი უარესი აყალ-მაყალი და ვაი-ვაგლახი იმაზე აქვთ გლეხებს, რომ ნამეწყრი ადგილები, რომელიც ერთი მეორეზე გადაცურებულია და ზედა ადგილს ქვედა ადგილი მოუკავებია, არა ჩემია და არა ჩემიაო არის დავა ატეხილი გლეხებს შორის. კაცმა მართალი უნდა თქვას, სწორეთ ძნელი გასაყოფია ახლა ეს ნამეწყრი ადგილები, და თუ მთავრობამ არ შეათანხმა ადგილების მეპატრონენი ერთი მეორესთან, უსათუოთ ცუდი შედეგი მოყვება ამ გარემოებას. სოფ. წესში 9 აპრილს მოხდა ის დიდი უბედურება, რომელმაც სამოცამდე გლეხი უადგილ-მამულოთ და უსახლ-კაროთ დატოვა 10 აპრილს შეიკრიბა სამოცამდე გლეხი ერთათ, და აი რა აზრი წარმოთქვეს წლევანდელი უბედურების შესახებ: გასულ წელს წმიდა ილია-ღრუბელთ წინამძღვრისთვის, თხა არ შევვიწირავს, და წელს სწორეთ ამისთვის გაჯავრდა ილია და მეწყერი და უბედურება მოგვივლინაო. თითოეულმა გლეხმა ეს ცრუ მორწმუნეობა ჭეშმარიტებათ მიიღო. შემდეგ მოილაპარაკეს ურთი-ერთ შორის და გადაწყვიტეს: 11 აპრილს მაინც შევწიროთ თხა ილია-ღრუბელთ წინამძღვარს, და მღვდელსაც ვაწირვინოთო. (აღდგომიდან გავლილი სამი ხუთშაბათი ყველა ელიობათ მიაჩნიათ აქ, და კიდევაც უქმობენ). 11 აპრილს, ვითარცა დიდ დღესასწაულს, შეიკრიბა ეკლესიის გალავანში მრავალი ხალხი, და წირვის დადგომამდე მოიყვანეს ფეხების ბაკუნით ერთი დიდი გრძელ-წვერა თხა. მსხვერპლი წირვის გამოსვლამდე გარეთება, როდესაც წირვა გამოვიდა, ხალხი შემოეხვია მღვდელს და დაუწყეს თხოვნა: თხას თავი მოგვირუჯე და აკურთხეო; მღვდელმა, თუმცა უარი უთხრა მათ და გაკიცხა ეს ცრუ-მორწმუნეობა, მაგრამ ხალხი მაინც არ მოეშვა, სანამდი საწყალ პირუტყვს წვერებში სანთელი არ შეუნთო და არ გატრუსა. გარუჯული თხა წაიყვანეს კლდიან ადგილზე და ერთ ათასი წლის ურთხვლის ძირში დააბეს. ყველამ, დიდმა და პატარამ, მოიხადა ქუდი და დიდი მოწიწებით ევედრებოდა ილია-ღრუბელთ წინამძღვარს, შემდეგისათვის მაინც არაფერი ზარალი მიეცა მათთვის. შემდეგ ლოცვისა, დაჰკლეს მსხვერპლი, გაატყავეს და იმ დანიშნულ ხის ძირში მოხარშეს. ზოგმა ღვინო მოიტანა, ზოგმა პური, დაჯდენ და შეჭამეს ილიას თხა. ხორცის სახლში წაღება ცოდვათ მიაჩნიათ. თხის პატრონმა შემოდგომაზე თითოეული გლეხიდან ორ-ორი ჩარექი ღვინო უნდა მოაგროვოს. იმ დანიშნულ ურთხლის ახლო მრავალი ხეა გამოსკვნილი, ზოგი ხმელი და ზოგი ნედლია, რამდენი წლის ვინ იცის. გლეხს თუ ჰკითხავ ხის გამოსკვნა რას მოასწავებს-თქო, მიშინ ის გიპასუხებს: აქ რომ პატარა ხეს გამოვსკვნით, ყოველ ელიობას ვნახულობთ, თუ გამხმარი დაგვხვდა ის ჩვენ მიერ გამოსკვნილი ხე, მისი გამომსკვნელი მალე მოკვდება, და თუ ხემ გაიხარა, მისი გამომსკვნელიც დიდ ხანს იცოცხლებსო.

ვანო ჭიჭინაძე.

***

ქალბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით შევეკითხო ბ-ნ მარკოზ სანებლიძეს შემდეგი: სად არის ის 23 მან., რომელიც ჩვენ, ცხენის რკინის გზის მოსამსახურეებმა, შევაგროვეთ მეფე ერეკლეს სახელობაზე დაარსებული თანხის მისამატათ და გადავეცით თვით სანებლიძეს, რომელსაც დავავალეთ ჩვეულებრივათ გაზეთში გამოცხადება, რათა ამ მაგალითისათვის სხვებსაც წაებაძა. ახლა აგერ თითქმის წელიწადი გადის, მაგრამ ხსენებული ფული დანიშნულებისამებრ „კვალის“ რედაქციისათვის არ გადაუციათ.

ყაფლან ხუნდაძე.

***

ქ. ქუთაისი, ქალაქის საბჭოში გადაწყვიტეს, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების დღეს გაუმართონ სადილი სამხედრო ჯარს, ხოლო ფული უნდა შეგროვდეს მცხოვრებლებისაგან ხელის მოწერით. ამისათვის უკვე შედგა კომიტეტი ექვსი კაცისაგან და დაავალეს მათ ფულის მოკრება; როგორც ჩანს ჯერ-ჯერობით, იმედია შეგროვდეს 3000 მანეთამ-

დე. კარგი იქნება, რომ იმის მაგიერათ რომ ჯარს სადილი გაუმართონ, რადგან თვითონ ხაზინამ გადასდო ამისათვის ბლომათ ფული, ეს ფული რაიმე ისეთ კეთილ საქმეს მოხმარდეს, როგორც მაგალითათ სხვა ქალაქებში: დაარსდეს სამკითხველო, საავათმყოფო და სხვა.

ან არა და ამ ჩვენ დაზარალებულ და დამშეულ ქვეყანას ხელმწიფე იმპერატორის სახელობით გაემართოს ხელი, მაშინ ეს დღე სახსოვრათ დარჩება ყველას.

გურული ამხანაგი.

* * *

ქართველი გათათრებული
ვისგან რა მისაღებია,
რომელს აღარ წამს დედ-მამა,
ბაბუა, არცა ბებია!

—

სამშობლოს ყვავილ-ბუჩქნარი
ვის სხვაგან აჰყვავებია
აქ ტკბილათ მსტვენი ბულბული
გაყორან—გაყვავებია.

—

თავი მით მოაქვს ნაბადი,
რომ გარდუქმნია ფარაჯათ
და თავის მოძმეს ადგია
გამცემ—გამყიდველ დარაჯათ.

—

ამ გვარი მაჰმადიანი
რა კაცათ ჩასაგდებია?
მენდე დაცინვის ღირსია,
აბუჩათ ასაგდებია!!

რუს-იმერელი.

ქალების ინტერნაციონალური კონგრესი პარიჟში.

ეს ქალების მესამე ინტერნაციონალური კონგრესია, რომელსაც ცხადათ ეტყობა, რომ საზოგადოებაში სიმპატია მოუპოვებია, თუმცა კი ჯერ ეს სიმპატია გამოურკვეელია.

პირველი კონგრესი ქალებისა 1889 წ. მოხდა. თუმცა პარიჟში ამ დროს გამოფენა იყო, მაგრამ ამას კონგრესისათვის არაფერი შეუძენია. ეს კონგრესი უკანასკნელებთან შედარებით სუსტი და უენერგიო იყო.

მეორე კონგრესი (1892 წ.) პირველს ჯობდა. ეს მესამე 8 აპრილს გამართული კონგრესი კი ცხადათ გვიმტკიცებს თავის ზრდას, პროგრამის და თანაგრძნობის საზოგადოებაში გავრცელებას; ვხედავთ ქალების საქვეყნო მოძრაობას და ვხედავთ, რომ იმათ საზოგადოების ყურადღება მიიქციეს, თანაგრძნობას იმსახურებენ. მკითხველს, უეჭველია, უნებლიეთ დაებადება კითხვა: რა არის ქალების ინტერნაციონალური კონგრესის მიზანი? აი, საკითხი საგანი, რომელსაც მკითხველი მოითხოვს. აქ საჭიროთ მიმაჩნია მოვიყვანო „ფრანგ ქალების ლიგის" წესდება და სამოქმედო პროგრამა,—ამასთანავე, ზოგი ის საკამათო კითხვები, რომელიც კრებამ აღძრა. აქედან მკითხველი დაინახავს „ლიგის" მიზანს, მოქმედებას. იგივე მიზანი იხატება მთლათ „ქალების ინტერნაციონალურ კონგრესის" მოქმედებაში.

„ქალების უფლებებისათვის ფრანგთა კავშირი (la ligue).

ლიგის წესდება.

1. ქალების უფლებებისათვის ფრანგთა კავშირს, რომლის საზოგადო სხდომა პარიჟშია, მიზნათ აქვს ქალის უფლებების მოპოვება და მისი ინტერესების დაცვა.

2. ვინც უნდა იყოს, სქესის და ეროვნების განურჩევლათ, ლიგის წევრათ იქნება მიღებული, რომელსაც ორი ლიგის წევრი წარმოადგენს. ახალმა წევრმა ლიგის წესდება უნდა მიიღოს და წელიწადში 6 ფრანკი იხადოს.

ლიგა საპატიო წევრებათ დანიშნავს იმ პირებს, რომლებიც ქალების ემანსიპაციის საქმეს სამსახურს გაუწევენ და ყურადღებას მიიპყრობენ. საპატიო წევრათ მიღება შეუძლია საზოგადო კრებას. საპატიო წევრები არაფერს იხდიან და სარგებლობენ ლიგის წევრის თანასწორ უფლებებით.

3. ლიგის წევრთა საზოგადო კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოხდეს, პირველ 3 თვის განმავლობაში, მზრუნველი კომიტეტისაგან მოწვევით.

4. საზოგადო კრება გადაწყვეტს ლიგისათვის საჭირო კითხვებს; თავის წევრებიდან ირჩევს ადმინისტრაციას, მიიღებს ან შეცვლის წესდებას, თუ ეს საჭირო აღმოჩნდება. საზოგადო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

საქმეების მმართველი ადმინისტრაცია 5 წევრი-

საგან შედგება: ერთი თავმჯდომარე (კაცი ან ქალი) ორი თავმჯდომრის თანაშემწე (კაცი გინა ქალი) ერთი საზოგადო მდივანი (ქალი) და ხაზინადარი (ქალი). ადმინისტრაციის ნახევარი წევრები ყოველ წლობით იცვლება; წინათ ადმინისტრაციის წევრათ ნამყოფი შესაძლოა ხელმეორეთ ამორჩეულ იქნეს.

5. ლიგა თვეში ორჯერ იკრიბება ჩვეულებრივათ.

6. ადმინისტრაციას სისრულეში მოჰყავს საზოგადო კრების დადგენილი კითხვები; მართავს ლიგის საქმეებს, ანგარიშს წარუდგენს საზოგადო კრებას; ამტკიცებს საზოგადო კრების წინ ანგარიშების წესიერ მდგომარეობას.

7. ადმინისტრაცია აღმასრულებელია ლიგის წესდების.

ლიგის პროგრამა. სამოქალაქო უფლებები:

საზოგადო დაწესებულებებში ქალების იმავე წესით მიღება, როგორც მამა-კაცებისა.

იმ კანონების და დეკრეტების გაუქმება, რომლებიც ხელს-უწყობს პროსტიტუციის გავრცელებას.

ქალის, როგორც კაცის, თანასწორი აღზრდა. სამეცნიერო ხარისხის ანუ ჩინების მიცემა, რომელთაც ქალი კაცთან განურჩეველათ, სწავლით და სამსახურით, დაიმსახურებს...

თანასწორი შრომა. ორივე სქესისათვის თანასწორი შრომის ფასი.

ქმრიანი ქალისთვის უფლება, რომ ის თავის ნაშოვარს ეპატრონებოდეს.

მოვაჭრე ქალებისთვის, სავაჭრო სამსჯავროში, როგორც ამომრჩეველის ისე ამორჩეულათ ყოფნის უფლებების შეძენა, აგრეთვე მუშა-ქალების ეკსპერტებათ ამორჩევა.

ქალის არჩევა სისხლის სამოსამართლო ჟიურის და საქალაქო რჩევის წევრათ.

აი, ეს არის ლიგის პრინციპი. აქედან გადავიდეთ კრების საზოგადო სურათზე. რასაკვირველია, აქ ყველა ნალაპარაკევს არ მოვიყვან, არც საჭიროა; აღვნიშნავ მხოლოთ მისი მოქმედების დედა აზრს და მტკიცე საფუძველს. კონგრესის კრება 8 (ახალი სტილით) აპრილს დაიწყო. ხუთ დღეს გასტანა. ყოველ დღეს ორ-ორჯერ ჰქონდათ სხდომა. პირველათ კრება თავმჯდომარის ამორჩევას შეუდგა. დაასახელეს ორი კანდიდატი: ქ-ბ. ფერესს დერესმი და ქ-ბ. მარია პონიონი. უმეტესობის სიმპატია პირველისაკენ იყო, მაგრამ მის ავათმყოფობისგამო ის საპატიო თავმჯდომარეთ იქნა არჩეული. ქ-ნ. პონიონი კი თავმჯდომარეთ. გაიხსნა კრება და შეუდგენ კითხვების დასმა—გადაწყვეტას. პირველი კითხვა ქ-ნ. ევენსანმა წამოაყენა: „როგორც სხვა კითხვების საფუძველი კენჭი ჰყარეთ ამ კითხვაზე: კანონ-მდებლობასა და საზოგადოების წინ (ქალის: „კაცთან) ორივე სქესის თანასწორობა". კრებამ ეს წინადადება ერთ ხმათ მიიღო.

ამას სხვა-და-სხვა კითხვები მოჰყვა. ქორწინების და გაყრის შესახებ რეფორმები, ქალთა უფლება მათ ნაშოვარის ანუ ქონების შესახებ, საზოგადოების ვალდებულება ბავშვების აღზრდის შესახებ, ქალთა უფლება არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, ქალების მიღება ისე როგორც კაცების პროფესიონალურ რჩევებში და სხვა. აქ მოვიყვანთ თავმჯდომარის, ქ-ნ. პონიონის სიტყვას, კრებაზე წარმოთქმულს.

„ბატონებო! პირველათ გულითად მადლობას ვწირავ კრებას, იმ პატივისთვის, რომელიც მან მე მომანიჭა თავმჯდომარის ალაგზე არჩევით. ვიტყვი, სამწუხაროთ, დღეს ჩვენ შორის არ არის ის ქალი, რომლის სიტყვა ერუდიციასთან შეერთებული, ძლიერი, მჭევრ-მეტყველი და მგრძნობიარე იყო. ეს წასულს ეკუთვნის და ჩვენ არ შეგვიძლია მის მაგიერობა გავწიოთ. ჩვენ მის საფლავზე ერთმანეთი გამოვიწვიეთ მისგან დაწყებულ დიდ საქმის გასაგრძელებლათ. ამაზ უნდა მოვახმაროთ ჩვენი ენერგია, ჩვენი ჯანი, ჩვენი სულის სიმტკიცე. უტყუარია, რომ ამის დამწყების ხსოვნა კონგრესს სამუდამოთ გულში ჩარჩება. ამ დარბაზში, როცა მან გაგვიმართა სასიქადულო კონფერენცია, თანაგრძნობის და პატივისცემის ტაშს ვუკრავდით. ამ კონფერენციაში მან დაგვანახვა ის მიზეზები, რომლების გამო მცხოვრებლების რიცხვი მცირდება. ამაში მისი უტყუარი შესედულება ბრწყინავს.

მარია დერესმი ამ კრების დროს თვალ-წინ გვიდგია. ვიხელმძღვანელოთ მისი მაგალითებით, მისი რჩევით და უსათუოთ განვახორციელებთ მას, რასაც ის იმედოვნებდა. ის გადაიცვალა. მისი მიმართულება, ენერგია და შეუწყვეტელი შრომა დაფასებულია. მან ქალთა უფლებების ძიებით დაიმსახურა საქალაქო რჩევის სიმპატია, რომელმაც სახსოვრათ ერთ პარიჟის ქუჩას მისი სახელი უწოდა.

პარიჟის საქალაქო რჩევამ ათასი ფრანკი გადადვა ამ კონგრესისთვის. ეს მისთვის, რომ ენერგიულათ ეშრომოთ ვეძიოთ ქალების უფლებები; ყველას სახელით მას მადლობას ვუძღვნით. ეს პირველი დაწესებულებაა, რომელმაც იცნო სამართლიანათ ქალთა უფლებების მოთხოვის პრინციპი. მომავალში ეს დიდებულს სახელს მოუპოვებს მას.

თუ კაცები და ქალები არ დავეხმარეთ, საზო-

გადოება ვერ მიახწევს იმ წერტილამდე, რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ.

ბატონებო! (კაცებს მიმართავს) თქვენ დაიკავეთ თანამედროვე საზოგადოებაში ყველა ადგილი, ეს უსამართლობაა. რაც კი უსამართლოა სამუდამო არ არის. როგორც თქვენ, ისე ჩვენც გვინდა მზის სხივები გვათბობდენ. თანახმათ ბუნების კანონებისა, კაცობრიობა მოქმედობს. ის იღვიძებს, მისი მიძინება (მიგიწყება) შეუძლებელია. ახლა ვხედავთ, რომ ამ ბუნებრივ კანონებს ეძებენ, რადგან ისინი დროებით, ოსტატურათ იყვენ დაფარული ბევრისთვის. ვხედავთ, რომ საზოგადოთ მიღებულ კანონებით ბევრი დამონავებულია, ამის გამო იტანჯებიან; ამისთვის აუცილებლათ ბუნების კანონები უნდა მოვიშველიოთ, იქ არის სამართლიანობა და ჭეშმარიტება...

ვხედავთ რომ ქალები საზოგადო კანონ-მდებლობის გარეშე არიან დარჩენილი, ესენი შეუგნებლათ, უსუსურებათ ითვლებიან. ვითომ მათ არ შეეძლოთ რომელიმე მოვლენის შესახებ საკუთარი მსჯელობა იქონიონ და თავიანთი აზრი წარმოთქვან; მათ არ ეძლევათ უფლება თავიანთი ნაშოვარის მესაკუთრე გახდენ გათხოვების შემდეგ. ქმარს, რომელსაც უფლებები აქვს, შეუძლია დაღუპოს, როგორც ცოლი ისე შვილები. ამ გვარია ქმრის პრივილეგია. ბატონებო, მაშინ ნათლათ დაინახავენით ქალის უსუსურობა—სირცვენეს, თუ ის საზოგადო კანონ-მდებლობაში მონაწილეობას ღებულობდეს. დაინახავედით, რომ მას შეუძლია თავისი მოწმობით სისხლის-სასამართლო პალატის წინ, დაამტკიცოს კაცის მოქმედება ნათლათ, გინდ ეს სინამდვილე მას სიკვდილს უქადოდეს. და აი, დღეს რომ უაზროთ მიგაჩნიათ მაშინ ნახავედით, რომ კარგათ მოსაზრებული მსჯელი და შემთხვევების ამხსნელი ყოფილა ქალი, ისე როგორც მამა-კაცი.

საკომერციო საქმეში ქალმა იმდენი ნიჭი გამოიჩინა, როგორც მამა-კაცმა. მას კი ნება არა აქვს თავის ქონების პატრონი გახდეს და აქ საკომერციო კანონ-მდებლობა ფარველობას არ უწევს, კაციც ამით სარგებლობს.

ერთ სენას დეპარტამენტში 8 ათასს ქალს თელიან საეჭრო სახლების უფროსებათ და რატომ არ ჩაუკვირდეთ ამ მოვლენას, ბატონებო, რომ მათი ამბოხება სრულიათ სამართლიანია?! თავიანთი მოქმედებით მათ დაგვიმტკიცეს საქმეში ნიჭიერება. მაგრამ როცა საჭიროა, თავიანთი სურვილი გამოთქვან საზოგადო დაწესებულებაში და არჩევნების დროს, იძულებული არიან თავიანთი კანტორის მოხელეები ანუ მოსამსახურეები გაგზავნონ ხმის მისაცემათ.

სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ერთი მესამედი საფრანგეთში მთელი წარმოებისა ქალებისაგან კეთდება, მაგრამ ცელის ვინმე კანონ-მდებლობას ამ მუშა-ქალების სასარგებლოთ? მამა-კაცები განა? როცა პარლამენტი ქალების დამცველ წესდებას იძლევა, ვხედავთ, რომ ცხოვრებაში გამოუსადეგარია. ამისთვის საჭიროა ყოველთვის შეცვალონ იგი. ცხადია, რომ აქ ქალებს უფრო კარგათ შეეძლოთ თავიანთ დაცვა და მოწინააღმდეგე ძალების შეთანხმება, ვინემ საკალდებულო კანონმდებლობას, რომელიც მოკლებულია ინდივიდიალურ თავისუფლების პრინციპს.

თქვენ ეჭვობთ, რომ თუ საპოლიტიკო საქმეებში მონაწილეობა მივიღეთ იმ დღიდან დავტოვებთ ჩვენ კერას, ოჯახს, სიყვარულს, თანაგრძნობას. მაგრამ, მე არასოდეს არ გამიგონია, რომ სენატორს, ან რომელიმე დეპუტატს ოჯახში სიყვარულის დრო არ ჰქონდეს, წინააღმდეგ, ხშირათ გამიგონია მათგან, რომ ბევრი დრო აქვთ, ოჯახში სიამოვნებისთვის, სიყვარულისთვის...

მომავალ დროის ქალს უფრო სიყვარული ექნება, ვინემ წასულ დროისას, რადგან ის კარგათ გაარჩევს ვინც სიყვარულის ღირსია, ამ ანგარიშით სიყვარული მტკიცე და სასურველი იქნება. აქ სურვილიც დიდია, რომ ზნეობა მაღალ და გონიერ ქალს უყვარდეს კაცი. ეს კაცს საშუალო მდგომარეობიდან ამოიყვანს, რომელშიაც ის დღეს იმყოფება. აქედან ხედავთ ბატონებო, როცა ზრდით დედა-კაცს, მაშინ აღიზრდება მამა-კაციც. როცა ოჯახის დედას თავის ქმრის თანასწორათ დააყენებთ, მაშინ უფრო შეაყვარებთ ოჯახს, შვილებს, თავისიანებს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, ეს ქალების ინტერნაციონალური კონგრესი ხელს შეგვიწყობს და ცრუ-მორწმუნეობას, ტრადიციონულ შეხედულებებს დავძლევთ, ამას ეჭვი არა აქვს. ეს აგვიანებს დღემდის ჩვენი საქმის განხორციელებას. ამ საქმის შესახებ მსჯელობა სრულიათ თავისუფალია. ყოველგვარი აზრის წარმოთქმა შეუძლიათ; ჩვენ, ჩვენი მხრით, ჩვენი ძალღონით ვეცდებით დავამტკიცოთ აზროვნების თავისუფლება, სინამდვილე, ისე, როგორც გვესმის. პატივისცემით მოვეპყრობით ყველა გულ-წრფელათ წარმოთქმულ აზრს. 1892 წლის კონგრესის შემდეგ ჩვენ მივიღეთ სენატიდან ეჭარ-ქალების არჩევის წესი, რომ ისინი არჩეულ იქმნან საეჭრო სამსჯავროში. საზოგადო დეპუტატთა პალატამ უფლება მოგვცა სამოქალაქო საქმეების შესახებ ქაღალდების შედგენაზე მოწმეთ ყოფნისა. ამანვე მისცა უფლება ქმრიან ქალებს, მიიღონ თავიანთი ნაშრომი ფული, ქონება; მაგრამ ეს არ კმარა, ძალიან ცოტაა. ამ მხრით

სხვა ერობათა წეს-წყობილებამ გაგვასწრო ბევრათ. წარმომადგენლები: ამერიკიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, დანიიდან, ფინლანდიიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, რუმინიიდან, რუსეთიდან და შვეიცარიიდან, გვეტყვიან, რომ ზოგი სათხოვარი, რომელსაც დღეს საფრანგეთში ქალები ეძებენ, მათ ან მიღებული აქვთ ან მალე მიიღებენ. აი, ქალები ასე უკანა ვართ ჩამორჩენილი.

ჩვენ გულწრფელ მადლობას ვუცხადებთ წარმომადგენელ ქალებს, კაცებს, რომლებმაც დატოვეს თავიანთი საქმე, სამშობლო, ოჯახი და მოვიდენ, რომ ჩვენთან ერთათ იმუშაონ, დაგვეხმარონ ამ დიდ საქმეებში. ამაზე ლაპარაკის გაგრძელება საჭირო არ არის. აქ კი ორგანიზაციის კომიტეტის სახელით ვაცხადებ, რომ „ქალების ინტერნაციონალური კონგრესის“ კრება იხსნება''.

ქალების ამ გვარ მოძრაობის შესახებ მოსწავლე სოციალურ კოლექტივისტების წრემ უკმაყოფილება გამოაცხადა კრებაზე. ასე გამოთქვა მან თავისი დედა აზრი: „რომ მხოლოთ სოციალიზმის გამეფებას შეუძლია დედაკაცის სრულიათ განთავისუფლება ამ ცუდ წეს-წყობილებიდან. ამისთვის ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზნის მისაღწევათ საჭიროა კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე დადგენა, რადგან საზოგადო მუშების სამოქმედო პროგრამაშია ქალებისთვისაც საჭირო უფლებების მინიჭება, ამას მუშა-ქალები, მუშების ორგანიზაციებიდან გაშორებით უფრო ძნელათ მიწვდებიან; ამისთვის მუშებთან ერთათ უნდა იმოქმედონ. მუშა-ქალების ამ კონგრესის წევრობა უსაფუძლოა. ეს საზოგადოთ ქალების აბსტრაქტიული სურვილია, რომელიც თვალსუხვევს მუშა-ქალებს. ამას ბურჟუაზიული საფუძველი აქვს და მუშა-ქალებს მხოლოთ გზას გაუბრუნდებს. აქ კითხვებიც ბურჟუაზულია, მაგალითათ: ქორწინება, გაყრა და დედა-კაცის უფლებების მოპოება და სხვ. მივიღოთ მხედველობაში, რომ მუშა-ქალების მოთხოვნილება მკრთალია, მეორე ხარისხოვანია. აქედან ის გამოდის, რომ ეს ბურჟუაზული კონგრესი მუშა-ქალებს დააზნევს. კონგრესისტთა მუშა-ქალების მოთხოვნილება კიდეც რომ პირველ კითხვათ მიიღონ, მაინც ამის განხორციელება პროლეტარიის შეუყენებელ მოქმედებაზეა დამოკიდებული, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულ ერთ კლასს წარმოადგენს. ჩვენი წრის აზრია, რომ სრულიათ გამოსადეგი არ არის მუშა-ქალებისთვის ქალების ინტერნაციონალურ კონგრესში მონაწილეობის მიღება და მოიწვევს მუშა-ქალებს, რათა საზოგადო მუშების ინტერნაციონალურ კონგრესს შეუერთდენ, რომელიც დიდი ხანია იბრძვის ყველა ადამიანის გასათავისუფლებლათ სქესის, ეროვნობის და რელიგიის განურჩევლათ. ამისათვის გაუმარჯოს ინტერნაციონალურ რევოლიუციას, გაუმარჯოს ინტერნაციონალურ პროლეტარიას“.

ამან კრებაზე დიდი მღელვარება გამოიწვია. ატყდა ხმაურობა, რომელიც კაი ხანს გაგრძელდა. ეს ხმაურობა ამტკიცებდა, რომ კოლექტივისტების თანამგრძნობელი კონგრესისტებში ცოტა იყო.

მკითხველისთვის მიგვინდვია ლივის პროგრამის კრიტიკულათ გარჩევა. ის იქ დაინახავს საფუძვლიანობას ანუ უსაფუძვლობას, ჩვენ ვიტყვით მხოლოთ ამ მოძრაობის შესახებ საზოგადო აზრს. პროგრამა, საკამათო საგანი სასურველი და უსაჭიროესია, მაგრამ როგორც ყოველთვის, სურვილის და საჭიროების ასრულებას იარაღი ესაჭიროება. კონგრესის მიზანი სასიქადულოა, ვხედავთ, რომ ამ სასიქადულო საქმის თანამგრძნობლები მატულობენ, მაგრამ ვიკითხოთ, რამ გამოიწვია ეს თანაგრძნობა? როგორც ყოველთვის, საზოგადო მოძრაობის, თვით ადამიანის ბრძოლის მიზეზი, თავის არსებობის შენახვა და ამისი გაშვენიერებაა. ამ მიზეზებმა გამოიწვია ქალების ინტერნაციონალური კონგრესი. ესენი მამა-კაცებისაგან თხოულობენ, თავიანთ უფლებებს. ესენი იძახიან, ჩვენც ადამიანი ვართ, ჩვენი უფლებები ჩვენ გვინდაო. აქ რომ ლოღიკური სიმართლეა, ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ ამ სიმართლის მოსაპოებლათ ნახმარი საშუალება იმდენათ სხვა-და-სხვა იქნება, რამდენათაც ეს საზოგადოება სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან შედგება. აქ უეჭველია, ზოგი რამეს დათმობს, ზოგი კი შეიძენს. ეს პროცესი ხდება მისთვის, რომ უნდა ერთმა დათმოს, რადგან მოწინაალმდეგე ძალას ატანს. კაცის ეგოიზმს კი ნებით ბევრის დათმობა არ შეუძლია. მას ყოველთვის პირველათ თავისი-თავი ახსოვს. თუ რამე მოინარჩუნა—სხვას დაუთმობს. ვამბობთ საზოგადოების სხვა-და-სხვა ელემენტების შესახებ, და რა კი კონგრესისტები საზოგადოებას შეადგენენ, ამისთვის ვერც ესენი აცდებიან მათში სხვა-და-სხვაობას. ერთი შეხედვით მათი მიზანი-მოქმედება დიდებულია, ვისაც შეუძლია მონაწილეობას უნდა ღებულობდეს, მაგრამ საფუძვლათ ეკონომიური კითხვაა და თითოეულს ეკონომიურ მდგომარეობას აქვს გავლენა სხვა დანარჩენ კითხვებზე. ამ კითხვამ აალაპარაკა კონგრესისტები და გაარჩევს მათ ისე, როგორც გაარჩია ამ კითხვამ ბურჟუა პროლეტარიისაგან. ეკონომიური და პოლიტიკური კითხვები—ისტორიულია. პირველი როცა საზოგადო სცენაზე წამოდგა, მეორე საჭირო იყო პირველის დასაცველათ. აქედან ვხედავთ,

რომ პოლიტიკა, ყოველთვის ნიეთის შინა-ყმაა. რა კი ეს ასეა, ჩანს, რომ ქალების დამონების კითხვა, პირველათ ეკონომიური კითხვა ყოფილა— და არის. ეს პროცესი რომ შეურყეველათ, წყნარათ გაგრძელებულიყო, პოლიტიკური წყობილებაც მისკენ გადიძლია, ვისაც ბევრი თუ ცოტა ქონება გაჩნდა.

ქალების კითხვაში სოფისტიკას შეუძლია საკამათო კითხვები გამოძებნოს. ის იტყვის: ქალი ბუნებრივათ სუსტიაო, ოჯახის კეთილ-მდგომარეობა თხოულობს, რომ ქალი მეოჯახე, ქმარ-შვილის მოყვარული უნდა იყოს და არა პოლიტიკისაო. ეს კი ბურჟუაზული საბუთია. ბუნებაში ევოლიუციაა, სისუსტე-სიმაგრე მათი განვითარების, ან ვარჯიშობის რაოდენობით გაიზომება. სიყვარულისთვის, თანაგრძნობისთვის ცოდნაა საჭირო, რომ სიყვარული და თანაგრძნობა ღრმა და შეურყეველი იყოს. ამით უნდა ჩაჩუმდეს სოფისტიკური საბუთის წამომყენებელი.

როგორც მონობა, ყმობა და დღეს ლატაკმუშების მდგომარეობა ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლის შედეგი იყო და არის, ისე ქალების დამონების მიზეზს აქ აქვს ძირი. ამ მოსაზრებას შემდეგ გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალების კონგრესის დას-დასათ დანაწილება აუცილებელია. ამ დიდ წრიდან გაჩნდება სხვა-და-სხვა პატარა წრეები, ცალ-ცალკე თავიანთ ინტერესების დამცველი.

კრებას ეტყობა სხვა-და-სხვაობა, აქ რელიგიური, რადიკალური და სოციალ-დემოკრატიული კითხვები წარმოდგა; ამისთვის აუცილებლათ კონგრესის წევრები თავიანთ ინტერესების მიხედვით დანაწილდება და წარმოშობენ იმ გვარ დასებს, როგორსაც მამა კაცებში ნათლათ ვხედავთ. აქედან წარმომდგარი თითოეული დასი იმ მამა კაცების დასს მიემხრობა, სადაც იპოვის თავის პროგრამის მსგავს. ამას შეუერთდებიან და იწყებენ მოქმედებას.

შემდეგი კონგრესი 1900 წლისთვის მსოფლიო გამოფენის დროისთვის დანიშნეს. ვინატრი ჩვენ ქართველ ქალებს ამ მსოფლიო მოძრაობაში წილი დაედოთ და თავიანთი ვინაობა წამოეყენებინოთ: „აი, მეც ქვეყანაზე ვარსებობო!“ ეს ისე ძნელი არ არის, როგორც ბევრს გონია. ხარჯიც დიდი არ წავა, მაშ უნდა გამოეძერეთ ჩვენ ძველ ბუნაგიდან და იმის მოწამე მაინც გაეხდეთ, თუ რას აკეთებენ, რაზე აქვთ დავა და სხვა.

ი. კაკაბაძე.



რკინის გზა ჩრდილოეთ ამერიკის „კლდოვან მთებზე“.

რკინის გზის საქმის წარმატება.

ამ უკანასკნელ დროს რკინის გზის საქმე თან-დათან დიდ წარმატებაში შედის სხვა-და-სხვა ტეხნიკური გაუმჯობესობით, მაგ., ელექტრონული ძალის ხმარებით სამოძრაოთ და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა მთის რკინის გზები. ამნაირი გზების მეოხებით ჩვენ დროში კაცს ეძლევა საშუალება ინახულოს იმისთანა ადგილები, სადაც ფეხით ან ცხენით მისვლა-მოსვლა ძლიერ გასაჭირია; ამნაირი გზების საშუალებით ყველა მოგზაურს შეუძლია ასვლა უმაღლეს მთებზე, თითქმის ვულკანების კიდეებსაც კი უახლოვდებიან.



ვეზუვზე მისავალი რკინის გზა.

ყველაზე უფრო განვითარდა მთების რკინის გზის საქმე შვეიცარიაში, სადაც ეს გარემოება სხვა-და-სხვა მიზეზებმა გამოიწვია. აქ მოვიხსენებთ ახალ გაკეთებულ რკინის გზებს ბერნის ალპებზე, რიგის და პილატის მთებზე. პირველი გზა, რომელიც ადის ბერნის მყინვარებთან, იწყება გრინდენვალდენში, 1,037 მეტრის სიმაღლეზე; ის თანდათან ალმა მიდის სოფ. შეიდეგამდის, რომელიც გაშენებულია 2,064 მეტრ. სიმაღლეზე. ამ სოფლიდან ვიდრე ვენგენამდე სწორი გზაა. აქ იწყება უზარმაზარი რკინის გზის შენობები, რომლების საშუალებით შესაძლებელია მატარებლის მოძრაობა დიდ დაღმართზე, რომელიც ალაგ-ალაგ 25-^{0}. მაგრამ აქ კიდევ არ ხმარობენ არც ჯაჭვებს და არც მსხვილ თოკებს მოძრაობის დროს. ვენგენი ძევს 1,277 ფუტით მაღლა ზღვის ზედა პირიდან. დამუხვლილი (კუწუბიანი) რელსები გაკეთებულია ბერნში განსაკუთრებული სისტემით. ვაგონები ოთხ-ოთხი ღერძიანია. ლოკომოტივებს აქვთ ორთქლით მოძრავი ბორბლები.

ყველაზე უფრო შესანიშნავია პილატის მთის რკინის გზა. ამ გზის სიგრძე ორ ვერსზე მეტია; დაღმართი მიახწევს 48-^{0}-დის, რაც აქამდის არც ერთ გზას არ დაუძლევია. თავის თავათ იგულისხმება, რომ აქ ყოველგან დამუხვლილი (забчатые) რელსებია. ამასთანავე ლოკომოტივი და ტენდერი მოძრაობის დროს მთიდან და მთაზე ვაგონის უკან არიან მიბმული. საათში პილატის მთის რკინის გზის მატარებელი გაივლის სამ ვერს.

სხვა ევროპის მთის რკინის გზებთა შორის საინტერესოა ვულკან ვეზუვზე მისავალი რკინის გზა, რომელიც ახლა გაფუჭებულია ამ ვულკანის უკანასკნელი ამონახეთქით. ეს გზა თავდებოდა კრატერიდან 200 მეტრის სიშორეზე, რადგან უფრო ახლო მიყვანა შეუძლებელი იყო: ძლიერი კვამლი წვავს თვალებს და სუნთქვას უშლის ადამიანს; ამას გარდა არ იცი, რა წამში დაგეცემა თავზე გახურებული ქვა. თვით ნიადაგიც საშიშარია კრატერის ახლო-მახლო, ის წამ-და-უწუმ სკდება. ვაგონებს ამოძრავებენ, რასაკვირველია, ორთქლის ძალით მსხვილი მართულებისაგან დაგრეხილ ბაგირებზე.

ევროპას გარდა ამერიკაშიაც არის მთის რკინის გზები, რომელთა შორის პირველი ალაგი უჭირავს მდებარეობის სიშვენიერით დენვერის გზას კლდოვან მთებში და აგრეთვე ვერაკრუსიდან მექსიკაში მისავალ გზას. სასტიკ და დიად სურათებს კლდოვანი მთებისას აქვს თავისებური მომხიბლავი სიშვენიერე

ყოველი კაცისთვის. ამერიკელებმაც დააფასეს ეს ძვირფასი თვისება ბუნებისა კლდოვან მთებზე რკინის გზის გაკეთებით.

ჩვენში? ჩვენ კი ჯერ შორს ვართ ამნაირი წარმატებიდან. თუმცა მთების სურათების სიშვენიერით ჩვენი მხარე არც ერთ ქვეყანას არ ჩამოუვარდება, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ ჯერ კი რკინის გზა სწორ ადგილზეც კისერს გვატეხიებს, თორემ მთების რკინის გზიდან ღმერთმა დაგვიფაროს!

ხმა პროვინციიდან.

ამ მცირე შენიშვნით მე მსურს, მკითხველო, შენი ყურადღება მივაქციო ერთ სამარცხვიერო მოვლენაზე, რომელმაც თავი იჩინა ამ ბოლო დროს ჩვენ ისეთაც დაჩაგრულ და უძლურ მწერლობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ, ქართველო მკითხველო, იმდენათ განვითარდი ამ უკანასკნელ დროს, იმდენათ უკვირდები ჩვენ ცხოვრების ავ-კარგს, ჩვენი მწერლობის საქმეს, რომ ის მოვლენა, რომელზედაც ახლა მე მსურს მივითითო, არ გამოგეპარებოდა და არ დატოვებდი შეუნიშნავათ. აი, სწორეთ ეს გარემოება მაძლევს მე გამბედაობას, რომ შენთან ერთათ, საერთო ძალით, წინააღვუდგეთ და ზიზღით მოვიხსენიოთ ის პოლემიკური კილო, რომლითაც იერიში შემოაქვს ჩვენ მწერლობაში გაზ. „ივერიის“ მოაშიკეს, ბ. Plebs-ს. ერთი ვიკითხოთ, მკითხველო: ვინ არის, რას ქადაგებს ეს Plebs-ი, ან ვის წინააღმდეგ მოუხსნია იმას თავი გაფუქებული ლექსიკონისათვის? მაგრამ არა! ჩვენ ამ ყოვლათ უმნიშვნელო კითხვების საპასუხოთ არ გვცალია, Plebs-ის ნაწერებს გარჩევის ღირსათ არ ვთვლით ისე, როგორც თვით ჟურ. „მოამბის“ „სალიტერატურო შენიშვნების“ ავტორსაც, რადგან ჩვენ მათში ვერაფერს ვპოვებთ, რომ მკითხველის ყურადღების ღირსი იყოს; ამას გარდა, ბ. Plebs-ის აზრების სიყალბე რამდენჯერმე იყო გამოაშკარავებული.

არა! ჩვენ გვსურს მხოლოთ წინააღვუდგეთ და მწერლობიდან განვდევნოთ ის ლიტერატურის შემლახველი პოლემიკური კილო, რომელსაც ბ. Plebs-ი და მისი მსაგვები ხმარობენ. შორს, შორს ჩვენგან ჩოგნის, მოგვერდის და შოლტების მოტრფიალევ, ბ. Plebs-ო! თუ მაინცა და მაინც არ მოგიშლიათ „ქლეტით“ და ხელ მარჯვე ცემით ნავარდობა, გირჩევთ წიაშუროთ რომელსამე გუბერნიის „ისპრავნიკს“ ან „ზემსკი ნაჩალნიკის“ თანაშემწეს; გარწმუნებთ, თქვენ იქ საკმარისათ დაიკმაყოფილებთ თქვენ სურვილს, და შეიძლება დიდი ჯილდოც კი მიიღოთ ცნობილი თავად მეშჩერსკი'აგან. თორემ, ჩვენ მწერლობაში თქვენ შოლტებს და ჩოგნებს ალაგი არა აქვს. მკითხველი საზოგადოება ზიზღით იხსენებს თქვენ საქციელს, და ამიერიდან გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე თუ არ შეწყვეტილა თქვენი შოლტების სხაპა-სხუპი, მაშინ ჩვენ, მკითხველი საზოგადოება, იძულებული ვიქნებით სულ სხვა ზომა მივიღოთ. ჩვენ რა შუაში ვართ, რომ ბ. Plebs-ს ქვენა სურვილების ქარ-ტეხილი ავარდნია. აქაო და მე საეშიკოთ ვარ მომზადებული ამიტომ ყველაფერი სიმდაბლე მომეტევებაო. სასტიკათ ცდებით, ბ. Plebs-ო, და კიდევ უფრო სასტიკათ ცდება თვით გაზ. „ივერია“ თქვენთვის შოლტებით სავარჯისო ასპარეზის მონიჭებისათვის. დროა განიდევნოს მწერლობიდან ყოველგვარი პლებსისებური ლიტერატურის გამათახსირებელი საპოლემიკო კილო.

სოფლის მეგობარი.

ცხოვრების სურათები

მეზობლები.

—დილა მშვიდობის, თეო-ჯან!
რა ადრე გაგღვიძებია!
ჯერ მზეც კი არ ამოსულა...
ახალი რა ამბებია?
—მართა-ჯან! მოყვარული ხარ,
ვიცი, ამბების ცხელ-ცხელის,—
და შენთან მოველ პირველათ...
იცი, რა მოხდა წუხელის?
—რა მოხდა, შენ გენაცვალე?
რას აგვიანებ, მითხარი!..
—შენც კარგათ იცნობ ელენეს:—
ათი დღის წინეთ მის ქმარი
თავის სოფელში წასულა,—

რაღაცა საქმე ჰქონია,
და რომ დაბრუნდა წუხელის,
რა ნახა, როგორ გგონია?
—რა, რა, რა? ჩქარა მითხარი!
სული ამომხდა ლოდინით..
—რაი და—ქმრის ხმა რომ ესმა,
ქალი წამოხტა ლოგინით,
შეიქნა რაღაც ფხაკური,
რაღაც ჩურჩული ხმიანი...
თურმე, დღით უქმრო ელენე,
ღამ-ღამით იწვა ქმრიანი!
სხვა გზა არ იყო—ახალმა
ძველ ქმარს მიმართა და ეცა,
და იგი თავზარ ნაცემი
იქავე პირქვე დაეცა.
გონს რო მოვიდა, ცოლს ჰკითხა:
,,ქალო, ვინ იყო ისაო?‘‘
მან უპასუხა: ,,რა ვიცი,—
ქაჯი თუ იყო ტყისაო!..‘‘
—ხა, ხა, ხა, რა გამახარე!
შენ გაგახაროს იესომ!..
ღმერთო, რა სასაცილოა!
და მართალია სულ ეს ხომ?
თუ, ჩვენებურათ, გაწყობილ—
გამალამშინებულია?
—შენთან არ ვფარავ,—ცოტათი
შეთხზულ—გამშვენებულია...
ელენეს ქმარი—ეს ვიცი—
სოფელში იყო წასული;
ესეც ეტყობა—ცოლს ქმრისკენ
არ აქვს არც გული, არც სული...
კიდევ ეს ვიცით—ელენეს
მრავალი ეარშიყება...
და დანარჩენი რომ შევთხზათ,
უსამართლობა იქნება?!
—კი, გენაცვალე! ვინ ამბობს!..
შეამკე, გაალამაზე!
დაგიმადლებენ,—საყვედურს
არავინ გეტყვის ამაზე.
—ახლა მშვიდობით, მართა-ჯან!
წავალ, ვუამბობ ნაცნობებს. .
გაღმა გადავცემ ნინოსა,—
ყველას დაივლის, აცნობებს.
—წადი, გეთაყვა, გაღმისკენ,—
გამოღმას ნუ გაქვს დარდები:
ახლავე კაბას გადვიცვამ
და უზმათ გადავვარდები.

სილოვანი.

ნ უ შ ო.

(მოთხრობა) *)

IX.

გაისტუმრა ჯაგუმ მარქრიტა და მოულოდინათ გადაიქცა. რამდენიც მეტი დრო გადიოდა, იმდენი უფრო მოუსვენრობა ეტყობოდა, იმდენი უფრო ღელავდა. მართალია, ისევ წინანდებურათ მუშაობდა თავის „სალხინოში“, ისევ ყველაფერს სარისტას აძლევდა, ისევ ყველგან იყო ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ამას ყველაფერს თითქმის შეუგნებლათ ასრულებდა, ჩვეულებათ გადაქცეოდა ესეთი მოძრაობა და ისე მოქმედებდა, იმისი სული კი სხვაგან იყო, იმისი გონება სხვაგან ჰქროდა. ნუშო გახდომოდა ცხოვრების მიზნათ; იმის ფიქრები ნუშოს დასტრიალებდენ, როგორც შუქს ფარვანები, იმისი გრძნობები ნუშოს უალერსებდენ და ეკონებოდენ, იმისი სურვილები ნუშოსკენ მიისწრაფოდენ. ნუშო იყო იმისი მნათობი და მოუთმენლათ ელოდა თავის მზის ამოსვლას; მზის ამოშუქებამდინ კი ბნელი სულს უხუთავდა: სუნთქვა უგუბდებოდა, ჰაერი ეღარ ყოფნიდა, თვალი სულ კარისკენ ეჭირა. ჩადრიან დედაკაცს არ ვაუვლია ქუჩაზე ისე, რომ ჯაგუს მარქრიტა არა ჰგონებოდა და ფერი არა ცვლოდა.

მარქრიტა კი იგვიანებდა: გამოცდილი იყო თავის ხელობაში და საქმეს აგვარებდა, არ ჩქარობდა. როდესაც გამოიკითხა ყველაფერი და მიიღო გადაწყვეტილი პასუხი, ჯაგუსაკენ გაეშურა. შევიდა ბაღში, ავიდა ოთახში, გაგზავნა ბიჭი დასაძახებლათ. ჯაგუმ ვერ შენიშნა მაჭანკალი: სწორეთ იმ დროს ვიღაც მუშტარს ელაპარაკებოდა. როცა ბიჭმა მარქრიტას სახელი ახსენა, ვაჭკაცს ფერი წაუვიდა, გულმა ძგერა დაუწყო, უნებლიეთ პირჯვარი გადისახა. მოისმინა მაჭანკლისაგან სასიამოვნო ამბავი. ძალიან გაეხარდა, სიხარულით ცას ეწია, კინაღამ გადაეხვია დედაკაცს. რომ ეკითხათ მაშინ იმისთვის, ვინ არის ქვეყანაზე

*) იხ. „კვალი“ № 19.

ყველაზე კარგი დედაკაციო, მარქრიტას დაასახელებდა. უხვათაც დაასაჩუქრა.

— მე ძალიან მიამა, რომ ეგრე ფთხილობენ და ჯვარისწერას აჩქარებენ. რას მიცნობენ, რომ ახლავე მენდონ. სწორეთ პატიოსანი ხალხი ყოფილა. წადი, ჩემო მარქრიტა, და უთხარი: ზევ სალამოზე ნიშანს მოვიტან,— ნივთებს არჩევა და ყიდვა უნდა,— დღეის-სწორს ჯვარს დავიწერ; უთხარ, რომ დღეს, რვა საათზე, იქა ვარ: მინდა ვნახო ისინი, მინდა ერთი თვალებში ჩავხედო ჩემ საყვარელს, მინდა იმისი ხმა გავიგონო. მარქრიტა გატუსტუსდა; თან ჯიბეს მალ-მალ იშინჯავდა, ფული არსად დავკარგოვო.

კაცის ცხოვრებაში არის ისეთი წამები, როცა ის აფრთოვანებულია, როცა ის ატაცებულს თუ არა, მთვრალს კი მოგაგონებთ; ულვინოთ მთვრალია: რამე მისწრაფება ათრობს. რომელიმე აზრი, თუ გრძნობა, თუ სურვილი მთლათ დაიმორჩილებს კაცს, განხორციელდება იმაში და თავის სახეს აძლევს იმის მოძრაობას, იმის მოქმედებას, მთლათ იმის არსებას; მოუჯადოვებს ნებას და ისე აქანებს, როგორც ნაფოტს ტალღა. ჯაგუს არსებაში ახლა იმ ქალის ნდომა განხორციელდა და შეცვალა კაცი. თანხმობის ამბავი რომ მოუვიდა, ჯერ გარინდდა,—არა ჯეროდა თავის ბედნიერება, თუ ჯერ ვერ გაეთვალისწინებია ეს ბედნიერება,—მერე აღელდა, ალტაცებაში მოვიდა და ველარც გამოერკვია ამ მდგომარეობას ქორწილამდინ. ნუშოს თვალები ათრობდენ იმას, იმის ხმა ანგელოზის გალობა ეგონა, იმის კულულებს სხივების ბუნჯგალს ადრიდა, იმის ტანის რხევა სისხლს უღელვებდა, თავს ავიწყებდა. შინ იყო — დანიშნულთან მისვლას ნატრობდა, ქალისას იყო — იმასთან ახლო ჯდომა უნდოდა, დანიშნულს უჯდა გვერდით — ხელის მოხვევას ლამობდა, მოხვევნას და ჩაკონებას მოახერხებდა—წყინდა, რომ ნუშო ცალკე არსება იყო, ცალკე პიროვნება; წამოვიდოდა და ჯერ ათი ნაბიჯი არ გადმოედგა, რომ ისევ მოწყურდებოდა ქალის ნახვა, მოწყურდებოდა ისე, როგორც იზმაილს წყალი უდაბნოში. ბევრჯელ რასმე მოიმიზეზებდა, უკანვე დაბრუნდებოდა. როცა თითონ ვერ მიდიოდა დანიშნულთან, მაშინ ზედი-ზედ უგზავნიდა წერილებს, შერჩეულ ხილს, საგანგებო საზდოს, ძვირფას ნივთებს, ყვავილებს,—ჯაგუს სურდა ნუშოს გარს სულ ყვავილები რტმყოდა, უნდოდა იმისი სახლი თაიგულათ გადაექცია, რომ ყვავილებს მოეალერსებინათ იმისი ნათელი თვალებისთვის, დაეტკბოთ იმისი ყნოსვა, ეამბნათ იმისთვის, რა რიგათ უყვარდა ის ჯაგუს. ყვავილებსაც ესმოდათ ვაჟკაცის გულისთქმა, იმატომ ულიმოდენ ჯაგუს ისე შვენივრათ; ნუშოც ხომ ყვავილი იყო, უკეკლუცესი ყვაყილი — ამიტომ უხაროდათ ყვავილებს იმასთან წასვლა.

გარეთუბანში ყველა ნუშოს შენატროდა, ყველა ჯაგუს ლოცავდა, რადგან ეშხით მთვრალი ვაჟკაცი მეზობლებსაც კი პატ-ვსა სცემდა. მაგდა ხომ სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გაათკეცა მეზობლების პატივისცემა, მეზობლების ალერსი: თითონ რომ ბედნიერი იყო, უნდოდა ყველა კმაყოფილი და მხიარული ყოფილიყო, უნდოდა ყველას დაელოცა იმისი ქალ-სიძე.

მოვიდა ქორწილის ღამე. მაგდას სახლი და ეზო ჭახჭახებდა. იქაურობა ხალიჩებით მოეფინათ: ჯაგუს გამოეგზავნა; სხვაც ბევრი რამ გამოეგზავნა საქორწილოთ. მთელი გარეთუბანი იქ იყო. სახლი და ეზო ვერ იტევდა ხალხს, ქუჩაც გამსებულიყო. ბევრს უხაროდა ნუშოს ბედნიერება, ზოგი შურით უყურებდა, ბევრი პატარძლის შვენებას გაეტაცა, ზოგ ახალგაზდას ახლა ახილოდა თვალები და ჯავრით გულში მუშტს იცემდა, რათ გავატანე სხვას ამისთანა მარგალიტიო.

ნუშოსთვის თავი დაეხურათ. სადედოფლო თეთრ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. მარგალიტით ნაკერი თასაკრავი შუქს აყენებდა იმის სპეტაკ შუბლს, დაბასმული, მალათა შეყრილი ლეჩაქი ბჭყვრიალებდა, თითქო ოქროს ფურცელი გადუბნევიათ ქალისათვის თავსაო. ყურადღებას იზიდავდა ძველებური გულის-ქინძისთავი: ოქროს ღერს შუა ადგილას წკეპლა შტოები გამოსვლოდა იმგრგვლივ და შტოების გადმოხრილ თავებზე მარგალიტის კუფხლები გადმოჰკიდებოდენ; ღერო, მარგალიტებს რომ აცდენოდა, სამათ გაყოფილიყო და სამივე ტოტი ზურმუხტებით იყო შემკული. აღელვებული ქალი გახშირებით რომ სუნთქავდა, მარგალიტები თრთოდენ, ღია მკერდის კოცნას ცდილობდენ.

ორბელიანთ ეკლესია და იმისი მიდამოც განათებიათ; ხალხით ავსილიყო იქაურობა. ორბელიშვილის ქალები დაჰპირებოდენ პატარძალს ჯვარისწერაზე გვერდის დაშვენებას და კიდეც მოსულიყვნენ საყდარში. შემოსილი მღვდელი ხან კარებიდან იხედებოდა, ხან საკურთხეველშივე შედიოდა.

მოგრიალდენ ძამიაანთ სახლთან ეტლები. გადმოხტდენ ჯაგუ და ათიოდე იმისი მაყარი. ეს ფაქიზათ ჩაცმული იარაღში ჩამსხდარი ვეშაპივით ვაჟკაცები რომ გენახათ, მშობლებს კურთხევით უხსენებდით. ბევრ გარეთუბნელ გოგოს გააჟრიალა ტანში იმათ ნახვაზე. ჯაგუმ გააცნო ქალებს თავისები. ყმაწვილ-კაცების თავაზიანობამ და მოხდენილმა ქცევამ მოხიბლა სტუმრები. ქალი რომ მიჰყავნდათ ეკ-

ლესიაში, დედა თან ცრემლებს აფრქვევდა, თან იღიმებოდა. გვირგვინ ქვეშ მეტათ დაშვენდენ ნეფე-დედოფალი. ღვდელი უკვე სასყიდელს გამოელოდა და დიდი სასოებით პტყელსიტყვაობდა. ეს კი იყო, რომ ხალხის ყიჟინმა და ძახილმა ილაჯი წაიღო. მაგრამ ეს ხომ ესეა თითქმის ყველგან ჩვენში, შიგ ხაყდარში ხმაურობა, ქლავი-ქლუვი, ორ-აზროვანი სიტყვების ძახილი სამღთო შნოს ართმევს ამ საიდუმლოს, უბრალო რამ მოქმედების ფერსა დებს.

მეჯვარემ ამოწვდილი ხმლით გაუკვალა ნეფე-დედოფალს სახლის გზა, კარის პჭეში თავგვირგვინიანებს საინები დაამტვრევიეს ფეხით—ბოროტი დათრგუნეს. ვერცხლის ბადიით მირთმეული შარბათი დალიეს—სიტკბოებას ეწაფნენ. ჯაგუმ მიაცილა ქალი იმისთვის მომზადებულ ოთახის კარამდინ. ოთახი კოხტათ იყო მოწყობილი, მაგიდა სავსე იყო საჭირო და სალამაზო ნივთებით. გაწვრთნილმა მოახლემ თავი მოაწონა ნუშოს. ქალმა შეისწორა ტანისამოსი, გაუღიმა თავის თავს კედლის სარკეში და გამოვიდა სასტუმროში. მოიტანეს ჩაი, ხილეულობა. გაიმართა ცეკვა. გაშალეს ვახშამი. ბოლომდის მხიარულება არ შეწყვეტილა. გათენებამ მოატანა, სტუმრები რომ წავიდენ. ჯაგუმ სატრფო საწოლში შეიყვანა.

ქალ-ვაჟის შეყრა სახით და შედეგით ერთი და იგივეა საზოგადოთ, ხასიათით კი დიდათ განსხვავდება, იმდენათ განსხვავდება, რომ ზოგ შეყრილებს თუ ნეტარებათ მიაჩნიათ და ამაყობენ ამ შეხვედრით, სხვა შეყრილებს ეზიზღებათ ეს შეხვედრა, შეურაცხებათ თვლიან. ქალ-ვაჟის შეხვედრის ხასიათი სიყვარულის, ერთმანეთისადმი ლტოლვილების, სიძლიერეზე არის დამოკიდებული. თუ შეუღლებულებს ნამდვილათ უყვართ ერთმანეთი, მაშინ იმათი შეყრა ტკბილია, სულიერათ წინათვე დაკავშირებულები ხორციელათაც ერთდებიან და ამსახით ხდებიან ერთ-სულ და ერთ ხორც; მაშინ ვაჟკაცისათვის მეუღლე არის ხორცი-ხორცთა მისთაგანი და ძვალი-ძვალთა მისთაგანი, ისე რომ ვეღარც კი არჩევს სადა თავდება იმისი არსება და სად იწყება მეუღლის არსება. ეს სიყვარული განუსაზღვრელი სიყვარულის აჩრდილია, თითონ განუსაზღვრელი სიყვარულია ქვეყნათ მოვლინებული. თუ ქალ-ვაჟი მარტო იმისთვის შეყრილან, რომ მოწიფულან და ერთმანეთს შეხვედრიან, მაშინ შეყრა მარტო სხეულის დაკმაყოფილება იქნება, როგორც, ვთქვათ, ჭამა და როგორც გამაძღარი აღარ ეალერსება საჭმელს, ან შეიძულებს ერთსა-და იმავე სანოვაგეს, შეუღლებულებიც ისე მოიმწვანილებენ ერთმანეთს ან ხელსა ჰკრავენ. თუ ერთს უყვარს, მეორეს კი არც უყვარს არცა სძულს, მაშინ პირველის ტრფობა მეორეს არ ესმის სავსებით, ვერ გაუზომავს გრძნობის სიღრმეს, სავსებით ვერ მიუწყავს ნდომას. ეს ცალმხრივი სიყვარულია. ესეთი ურთიერთობა მხარ-მოტეხილი შავარდენია: რაც უნდა ღონივრათ იქნიოს ცალი ფთა, ვერ მიწვდება ლაჟვარდ ცას, ვერ გაინავარდებს იმის სივრცეში. თუ ერთ შეუღლებულთაგანს უყვარს, მეორეს კი სძულს, მაშინ პირველის ალერსი მეორეს პირუტყულ ქინათ მიაჩნია, შეყრა თავის შეურაცხება ჰგონია. კრულია ესეთი შეხვედრა, ქვეყნიური ჯოჯოხეთია.

ჯაგუ გაგიჟებით ეტრფოდა ცოლს და ტკბებოდა, მაგრამ იმას რომ ნეტარების ფრთები ასხმოდა და მეშვიდე ცას მისწდომოდა, ნუშო დედამიწაზედვე დარჩენილიყო, მხოლოთ სურვილს იკლავდა, ქმრის ალტაცებას კი გაკვირვებით და ცნობის-მოყვარებით უყურებდა. შემდეგაც ვერ შეძლო გაეზომა ქმრის გრძნობის სიღრმე: ის რომ თავს ევლებოდა ქალს, ის რომ სანთელივით დნებოდა იმის შუქზე, ქალს სიყვარულის საზომათ კი არ მიაჩნდა ეს, თავის ღირსებების სასყიდლათა თვლიდა ყველა ამას: წინათ დედა ემსახურებოდა და ანებივრებდა იმას, რადგან ნუშოსთანა შვილი ღირსი იყო მშობელი მტლეთ დადებოდა, ახლა ეს კაცი ცივ ნიავს არ აღენდა, რადგან ნუშო შვენიერება იყო და სწორეთ ესეთი მოპყრობა შეშვენოდა; ვისთვისაც უნდა შეეხვედრებინა ბედს იმისი თავი, მაინც ფუფუნებაში უნდა ყოფილიყო, ესე ძვირათ უნდა დაეფასებინათ ის. თავის მხრივ ისიც საკმარისათ მიაჩნდა განაზებიყო შეყვარებულ ქმარს და ხანდისხან ლოყა მიეშვირა მისთვის საკოცნელათ. ღვთის წინაშე, ამ კეკლუცის ლოყაზე მოხვევა ღირდა კი იმათ, რომ კაცს თუნდ ცეცხლის ალში გაევლო ამისათვის.

გ. ზარნოვი.

(შემდეგი იქნება)

ბ. ურბნელის შენიშვნების გამო.

(იხილე „ივერია“ № 38, 1896 წ.) [1]

პირველათ მადლობას მოვახსენებ ბ. ურბნელს, რომ ინება და მოგვაწოდა გაზეთის საშუალებით ცნობები ქართველთა შორის ქალის მოტაცების შესახებ და აგრეთვე თუ რა უფლება

[1]) ეს წერილი იყო გაგზავნილი დასაბეჭდათ თავის დროზე, „ივერიის“ რედაქციაში, სადაც, არ ვიცი რა მიზეზით, არ დაიბეჭდა. ავტ.

ჰქონდა უკანონო შვილს (ბუშს) და ცოლს (ხასას) ქმრის ქონებაზე. მაგრამ არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო რამდენიმე შენიშვნები ბ. ურბნელისა. მით უმეტეს, რომ ის უსაყვედურებს ახლანდელ ქართველ სტუდენტობას, ვითომ ამ უკანასკნელს არაფრათ მიაჩნია სამშობლო ქვეყნის ვარამი.

ბ. ურბნელი ფიქრობს, ვითომ ახლანდელი ქართველი სტუდენტობა გაზეთებს არ კითხულობს და არ ადევნებს თვალ-ყურს თავის სამშობლოს მდგომარეობას და ჭირ-ვარამსო, და გვირჩევს წავიკითხოთ ქართული გაზეთები, საიდანაც გავიგებთ, თუ როგორ იტაცებს რამდენიმე ქართველი თავადიშვილი ახალგაზდა სომხის ქალს და თუ როგორ განიხილავენ ამ საქმეს ახლანდელი მსაჯულნი. ²) რჩევისთვის მადლობის ღირსია ბ. ურბნელი და მართლაც საგულისხმოა ეს დარიგება მხოლოთ იმ ქართველ სტუდენტებისთვის, რომლებიც არ კითხულობენ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ურბნელის დარიგებას ხსენებული კითხვის შესახებ ჩვენთვის, როცა ჩვენ დასახელებული მაგალითის მსგავსი ათასობით ვიცით უგაზეთოდაც ჩვენი ცხოვრებიდან და იმისთანა პირებსაც ვიცნობთ, რომლებსაც ჰყავთ ხასები, მაგრამ ამგვარი ცოდნა არ მიგვაჩნდა საკმაო საბუთათ ჩვენი კითხვის გამოსარკვევათ. მასთან ბ. ურბნელი მოიხსენიებს თავის შენიშვნაში, რომ მოტაცება ორგვარი იყოო: ,,პირველი ძალით და საცოლოს დაუკითხავათ და მეორე იმის თანხმობითა და ნების დართვით. ახლაც ჩვენი მთის ხალხში დარჩენილია ეს ორნაირი მოტაცებაო''. ამაზე შემიძლია ვთქვა, რომ, არა თუ მთის ხალხში, ვაკეშიდაც არის ახლა ეს ჩვეულება, და ამასთანავე არა თუ ორნაირია მოტაცება, არამედ სამნაირიცაა: მესამე გვარი მოტაცებაა, როცა არა მარტო ქალის, არამედ მშობლების თანხმობით და ნების დართვით, ვაჟი (სასიძო) იტაცებს ქალს. შესაძლოა უწინ არ იყო ეს ჩვეულება, მაგრამ დღეს შეგვიძლია ამის მაგალითი ბევრი მოვიყვანოთ. ჩემი აზრით, ეს აიხსნება ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობით. რადგან ქალის მშობლებმა იციან, თუ რა დიდი ხარჯი და შრომა გადის ქორწილის გადახდაში ჩვეულებისამებრ, და რომ მოუტაცებელ ქალს ცოტა თუ ბევრი მზითევის მომზადებაც უნდა (ქალის უმზითვოთ გასტუმრება სასირცხოთ მიაჩნიათ და ჩვეულების წინააღმდეგ თვლიან), ისინი ამჯობინებენ ამების ასაცილებლათ, მოატაცებინონ სასიძოს თავისი ქალი, ვითომ მათი ნების დაურთველათ და დაუკითხავათ. სხვა შენიშვნებზე არაფერი მეთქმის, რადგან არ ვარ თვითონ გაცნობილი ჩვენ ძველ კანონებთან. მასთან ბ. ურბნელის წერილი წარმოადგენს იმის ახსნას და განმარტებას, რაც უფ. მაქსიმე კოვალევსკის უწერია და სხვებს უცხო ენაზე. ბ. ურბნელი ბძანებს, რომ უწინდელ ქართველ სტუდენტების გულ-გრილობას თავისი მიზეზი და საბუთი ჰქონდაო. მიზეზათ და საბუთათ მოჰყავს ის, რომ მაშინ თვით გამოჩენილი მეცნიერნიც არას ფიქრობდენ საქართველოზე და კათედრიდან ერთი სიტყვითაც არ იხსენებდენ ჩვენ სამართალს და ისტორიას, ჩვენ წარსულსა და აწმყოსო. კავკასია დავიწყებული იყო და არავის ახსოვდათ და რა კი სხვები არ ფიქრობდენ საქართველოზე, არც მაშინდელი ქართველ—სტუდენტობა ჰფიქრობდით. ახლა კი მეცნიერების ტაძარში მოსწავლე ქართველს დიდი ბედი და იღბალი ეწია, რადგან მას უკითხავენ და აგონებენ სამშობლოზე გამოჩენილი პროფესორნი და მეცნიერნი, რომლებიც ჩვენ სამშობლოს გაფაციცებით თვალს ადევნებენ და სწავლობენო.

არ ვიცი, როგორი თავის მართლებაა ეს, თვით მკითხველმა დააფასოს. ბ. ურბნელს კი ვთხოვთ დაგვისახელოს, თუ რომელი უცხო ქვეყნის მეცნიერია ის, ან რომელი ორგანო ჩვენ დროში, რომელიც საქართველოს იგონებს და მასზე ჰფიქრობს ქართველების და საქართველოს სასარგებლოთ? რომელი კათედრიდან ქადაგებენ, ან ერთი სიტყვითაც იხსენებენ ჩვენ ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას და სხვ. მე არა ერთხელ მომისმენია აქ ფილოლოგიის და სამართლის მეცნიერების პროფესორების ლექციები, მაგრამ ერთხელაც არ გამიგონია, რომ ვისმეს შედარებით ან გაკვრით მაინც ეთქვათ საქართველოზე. მხოლოთ 1893 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში გვიკითხავდა ბ. გრენი ქართველ სტუდენტებს (მსმენელების უმრავლესობას შეადგენდით ექიმები) საქართველოს ისტორიას და ეთნოგრაფიას. ეს იყო და ეს. ისიც ძლიერ მოკლეთ და თავისებური შეხედულებით, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილი ვიყავით, რა კი გვესმოდა საქართველოზე სჯა და ბაასი.

ბ. ურბნელი კიცხავს საზოგადოთ ახლანდელ ქართველ-სტუდენტობას, ვითომ ის გულით არ ეკიდება საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, სამართლის და სხვ. შესწავლას. ჩემი აზრით ცდება ბ. ურბნელი: ეგ არ ითქმის ახლანდელ ქართველ-სტუდენტობაზე ³). აწინდელი ქართველი სტუდენტი კითხულობს

²) არ იცნება ურიგო, გვაცნობოს ბ. ურბნელმა, დიდიხანია შემოიღეს ჩვენ სასამართლოებში ვახტანგის კანონები, თუ არა?

³) მე არ ვეხები აქ ძველ სტუდენტებს. ამის შესახებ მკითხველს შეუძლია ცნობები ნახოს ჟურ. „იმედი" 1881 წლის № 5 გ. ყიფშიძის ნაწერი და ნ. ნიკოლაძის „საახალწლო".

არა თუ მარტო ქართულ ჟურნალ-გაზეთ-ბას არა მედ უცხოეთისასაც. თვალ-ყურს ადევნებს არა მარტო სამშობლო ისტორიის მიმდ-ნარეობას, არამედ ევროპისასაც. მეცადინეობს და ვითარდება არა მარტო თავის სასარგებლოთ არამედ ფიქრობს საზოგადოებრივ დანიშნულებაზეც *). ის ცდილობს ჯერ თეორიულათ განვითარდეს და ისე დაბრუნდეს უმაღლეს სასწავლებლიდან თავის სამშობლოში ღონიერი და მომზადებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ვარწმუნებ ბ. ურბნელს, რომ თითოეული ჩვენგანი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოანდომოს მთელი თავისი ძალ-ღონე.

ბ. ურბნელი მაყვედრის, როგორ თუ გავბედე ქართველმა სტუდენტმა, საუნივერსიტეტო ქალაქში მყოფმა, მიწერა და შეწუხება საქართველოში მყოფ პირებისა; თითონ არ გავისარჯე და არ მოვძებნე უბრალო ცნობა უნივერსიტეტში, სადაც ვითომ ევროპის და რუსეთის მეცნიერები გაგვაცნობენ ჩვენ ქვეყანას ყოველ მხრივ, და ან რათ არ დავეკითხე ამ ცნობების შესახებ ქართველ მოსწავლე იურისტს. ბ. ურბნელს თუმცა გონია, ვითომ ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობს არა ერთი და ორი, ესე იგი ბევრი ქართველი, სამართლის მეცნიერებას, მაგრამ ცდება, რაგან არა თუ ერთი და ორი, სრულიადაც არ მოინახება აქ არც იურისტი და არც ფილოლოგი ქართველობიდან. მართალია, რუსეთში ქართველი სტუდენტი იურისტი კა მოიპოვება, ამაში ეჭვი არ არის; მაგრამ მე მაინც ვამჯობინე საქართველოში შემოთვლა, რადგან, მანძილზე თუ ვიტყვით, მაინც-და-მაინც ბევრ დროსაც არ დავკარგავდით ამით: საქართველო იმდენზეა დაშორებული ხარკოვთან, რამდენზე სხვა საუნივერსიტეტო ქალაქები, მაგრამ მე უპირატესობა მივეცი ძველ იურისტებს [4]), როგორც უფრო გამოცდილებს, მცოდნეთ საქართველოს ზნე და ჩვეულებისას, რადგან მათ წიგნების და კანონების ცოდნის გარდა, საშუალება აქვთ უფრო დაუახლოვდენ ხალხს, თვალ-ყური ადევნონ მის ცხოვრებას და გაიცნონ მისი ზნე და ჩვეულება. რაც შეეხება იმას, რატომ ვითომ მე თვითონ არ მოვძებნე ეს ცნობები, ამის შესახებ ვიტყვი მხოლოთ შემდეგს: ხარკოვში გვაქვს ერთი საჯარო წიგნთ-საცავი, მეორე უნივერსიტეტის ფუნდამენტალური წიგნთ-საცავი, რომლებიც მდიდარია სხვა-და-სხვა წიგნებით, მაგრამ საქართველოს შესახებ ერთი რიგიანი წიგნიც არ მოიძებნება, თუ სახეში არ ვიქონიებთ მ. კოვალევსკის და რეკლიუს თხზულებებს; მესამე გვაქვს ქართველ-სტუდენტების კერძო საკუთარი პატარა წიგნთ-საცავი, რომელიც არ არის ისე მდიდარი, რომ შეგვეძლოს იქიდან ყოველი ცნობის—მოყვარეობის დაკმაყოფილება. ჩვენ საშუალება არა გვაქვს არა თუ სხვა-და-სხვა წიგნები და უცხო ენებზე დაწერილი ცნობები საქართველოს შესახებ შევიძინოთ, არამედ ჩვენი ქართული წიგნებიც და ძველი ქართული ჟურნალების ნომრებიც კი ვერ შეგვიძენია.

მე, როგორც დილეტანტმა ცნობის მოყვარემ და არა როგორც იურისტმა, ან ფილოლოგმა, მოვკიდე ხელი წინა წერილში ხსენებულ საქმეს [6]). რაცა ჩემ საქმეს მოერჩებოდი და თავისუფალ დროს ვიგდებდი ხელში, შევდიოდი არხივში და ვკითხულობდი მასალას მცირე რუსეთში დასახლებულ ქართველობის შესახებ. სპეციალურათ კი არ ვიძიებდი და ვარკვევდი ამ საქმეს, არამედ მინდოდა გამეცნო მსურველთათვის შინაარსი აქ შენახული საქმეებისა და მიმეწოდებია ჩვენი წარსული ცხოვრების მკვლევარ-მეძიებელთათვის, და ამასთანავე დამეკმაყოფილებია ჩემი ცნობის-მოყვარეობაც.

დასასრულ, ნებას მივცემ ჩემ თავს ვთქვა, რომ ბ. ურბნელის ხერხი ვერ არის საქებარი. ეტყობა, ბ. ურბნელი არ ყოფილა საზოგადოთ კმაყოფილი ახლანდელი ქართველ-სტუდენტობისა, მაგრამ ამდენ ხანს ვერ მოუხერხებია და ვერც გაუბედია დაესურეთებია ის და მიეცა მისთვის შენიშვნები და დარიგება. დღეს მან ისარგებლა ჩემი სახელით და იმის მაგიერ, რომ მე მარტო გავეკიცხე, კიცხავს და ცილს წამებს მთელ ქართველ-სტუდენტობას.

ქ. ხარკოვი. გ. დ.

1-ლი მაისს ტირაჟის მომხთარ მე-3-ე სათავად-აზნაურო სესხისს უმთავრესნი მოგებანი:

სერია.	ბილ.	მოგება	სერია.	ბილ.	მოგება
5819	7	200000	11075	14	1000
1486	49	75000	7559	43	1000
2149	12	40000	13581	36	1000
782	27	25000	7393	7	1000
14177	36	10000	4682	8	1000
5827	45	10000	12385	9	1000
948	31	10000	6331	10	1000
9777	17	8000	2897	17	1000
11542	14	8000	13190	45	1000
612	49	8000	11051	6	1000
14626	6	8000	11049	8	1000
8388	42	8000	7528	44	1000
3975	6	5000	9160	24	1000
11617	25	5000	4769	50	1000
9614	12	5000	1632	12	1000
12066	31	5000	7812	44	1000
10104	12	5000	2782	22	1000
11758	19	5000	465	11	1000
15668	50	5000	6947	3	1000
5325	39	5000	527	5	1000

*) თუ ეს სიტყვები ნამდვილი ფაქტის გამომხატველია, ვისურვოთ კარგი მომავალი ჩვენ სტუდენტებისთვის. თუმცა... რედაქ.

[4]) ახლა კი შევმცდარ ვარ. როგორ ვიფიქრებდი, თუ ძველ სტუდენტებს საქართველო არ ახსოვდათ და მაზე არ ფიქრობდენ! მომავალში, იმედი იქონიონ, არ შევაწუხებთ და ვიქნებით ფთხილათ.

[6]) ქართველები მცირე რუსეთში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тифлисъ, 11 Мая 1896 г. —Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41.